international alert

„ენგურის კარიბჭის“ კანონიერი ბიზნესისთვის გაჩსნა

ქართული და აფხაზური კერძო კომპანიების ხედვა



Peace is within our power

International Alert-ის შესახებ

არასამთავრობო ორგანიზაცია International Alert მუშაობს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ადამიანებთან ხანგრძლივი მშვიდობის დასამყარებლად. ჩვენ გვწამს, რომ ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ მშვიდობის დამკვიდრებას. ჩვენ ვცდილობთ კონფლიქტის გამომწვევი ძირეული მიზეზების აღმოფხვრას და ერთმანეთს ვაახლოვებთ გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მყოფ ადამიანებს. მშვიდობის დასამყარებლად, ჩვენ ვაერთიანებთ ძალისხმევას ადგილობრივი თემისა თუ სახელმწიფო სტრუქტურების დონეზე.

მშვიდობას უზრუნველყოფს ადგილობრივი თემების ძალისხმევა იცხოვრონ ერთმანეთის გვერდით და არსებულ განსხვავებებს გაუმკლავდნენ კონფლიქტის წამოჭრის გარეშე, ისევე როგორც, ადამიანების მიერ სამშვიდობო ხელშეკრულებების ხელმოწერა თუ საბრძოლო იარაღის გვერდზე გადადება. სწორედ ამიტომ, ჩვენ გვჯერა, რომ ყოველ ჩვენგანს შეუძლია განსაკუთრებული წვლილის შეტანა მშვიდობიანი მომავლის აშენების პროცესში.

www.international-alert.org

© International Alert 2018

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია მოცემული ნაშრომის ნებისმიერი ნაწილის გამოყენება, შენახვა საინფორმაციო-საძიებო სისტემის ფარგლებში ან გადაცემა ნებისმიერი, ელექტრონული, მექანიკური, ფოტო, ჩანაწერისა თუ სხვა საშუალებით ავტორისა და წყაროს სრულფასოვანი მითითების გარეშე.

დაკაბადონება და გაფორმება: D. R. ink

international alert

„ენგურის კარიბჭის“ კანონიერი ბიზნესისთვის გახსნა

ქართული და აფხაზური კერძო კომპანიების ხედვა

ავტორი: ნატალია მირიმანოვა

მკვლევარები: ვახტანგ ჭარაია და ლოლიტა ზადე

მარტი 2018

მადლობის ნიშნად

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია შვეიცარიის კონფედერაციის საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტისა და ევროკავშირის მხარდაჭერით, რაც UNDP-ის მეშვეობით განხორციელდა. აღნიშნულ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებანი განეკუთვნება მხოლოდ International Alert-ს და შესაძლოა, არ წარმოადგენს მისი დონორი ორგანიზაციების შეხედულებებსა და პოლიტიკას.

International Alert ასევე გამოხატავს მადლიერებას თავისი სტრატეგიული დონორების: ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ირლანდიის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის დეპარტამენტისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს მიმართ.

ავტორის შესახებ

ნატალია მირიმანოვა – კონფლიქტის ტრანსფორმაციის საკითხებზე მომუშავე მეცნიერ-პრაქტიკოსი, რომელიც ჩართულია კონფლიქტის კვლევისა და მოგვარების საკითხებში. მას მდიდარი გამოცდილება აქვს მიღებული ამ სფეროში რუსეთში, სამხრეთ კავკასიაში, ცენტრალურ აზიაში, მოლდოვაში, უკრანიაში, ბალკანეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში განხორციელებული პროექტების შედეგად, რაც გაეროს, ეუთოს, აგა ხანის ფონდის, ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტისა და სხვა მრავალი საერთაშორისო, ეროვნული თუ ადგილობრივი ორგანიზაციის ეგიდით შესრულდა. გარდა ამისა, ნატალია ბრიუსელში მოქმედი საკონსულტაციო კომპანიის „ევრაზიის სამშვიდობო ინიციატივის“ დირექტორია, ისევე როგორც International Alert-ის ევრაზიული პროგრამის უფროსი მრჩეველი და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის კონსულტანტი. იგი, აგრეთვე, აშშ-ს ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის კონფლიქტის ანალიზისა და გადაწყვეტის ინსტიტუტის დოქტორია.

სარჩევი

შეჯამება **4**

1. შესავალი **6**

2. კვლევის საერთო საფუძველი და მეთოდოლოგია **8**

3. ძირითადი მიგნებები **9**

3.1 პოლიტიკური მოსაზრებანი 9

3.2 კომერციული ხასიათის მოსაზრებანი 11

4. დასკვნები **18**

რეგიონის რუკა

შეჯამება

იქ, სადაც კონფლიქტები ხანგრძლივდება, დაზავების პოლიტიკური პროცესი ჩერდება, კავშირები ხალხთა შორის წყდება, ხოლო კონფლიქტის გამყოფი ხაზის გავლით ბიზნესარხების გახსნამ შეიძლება შეცვალოს არსებული რეალობა. ამ გზით იზრდება ურთიერთნდობა და უსაფრთხოება, თანადროულად კი წინ იწევს ეკონომიკა და ადვილდება ადამიანებს შორის ურთიერთობა. თუმცაღა, კონფლიქტის გამყოფი ხაზის გადამკვეთი ბიზნესურთიერთობის უკანონო თუ დანაშაულებრივი ხასიათის შემთხვევაში, მათ ნაკლებად ხელეწიფებათ კონფლიქტის გრძელვადიანი გარდაქმნა თუ აქამდე საკამათოდ დარჩენილ საკითხებზე დიალოგისათვის აუცილებელი გზების გაჭრა. იმ პირობებში, როდესაც მხარეთაგან ერთ-ერთის სტატუსი გამორიცხავს საერთაშორისო ვაჭრობის წესების გამოყენებას, საჭირო ხდება განსაკუთრებული ხასიათის კანონმდებლობა, რომლის ფარგლებშიც დარეგულირდებოდა მსგავსი ბიზნეს ურთიერთობანი. კონფლიქტის გამყოფი ხაზის გადაკვეთით მიმდინარე ბიზნესურთიერთობის რეგულირება, მხარეთა შორის ნდობის აღსადგენად გადადგმული პირველი ქმედითი ნაბიჯი შეიძლება გახდეს, ისევე როგორც, ერთმანეთისა და გარე სამყაროსთვის ურთიერთნდობის დემონსტრაციის, ინსტიტუციური და სამართლებრივი კავშირების შემოტანისა და ამ ყოველივეს შედეგად, უფრო მდგრადი პოლიტიკური გადაწყვეტილებისაკენ გზის გაკაფვის შესაძლებლობა.

International Alert-მა გამოიკვლია, არსებობს კი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გამყოფი ხაზის გავლით თანამშრომლობისთვის პრაგმატული ხასიათის რაიმე წინაპირობა. ტრანს-ენგურის უკანონო ვაჭრობის რამდენიმე კვლევამ აჩვენა, რომ ეს ვაჭრობა უფრო საბაზრო ძალებითაა მართული, ვიდრე პოლიტიკური თუ უსაფრთხოების ფაქტორებით განპირობებული. თუმცაღა, თავად მისი უკანონობა მოასწავებს მის უძლურებას, რამე შემატოს კონფლიქტის მდგრადი გარდაქმნის საქმეს. შესაბამისად, შემუშავდა ქართულ-აფხაზური ფორმატი „კურსი 1.5“, რომლის მიზანიცაა გზების დასახვა დროებითი სამართლებრივი რეჟიმის შესაქმნელად, რაც თავის მხრივ, კონფლიქტის გამყოფი ხაზის გავლით მიმდინარე ეკონომიკურ საქმიანობას დაარეგულირებს და გამჭვირვალეს გახდის. წინამდებარე კვლევა სწავლობს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ორივე მხარის კერძო კომპანიების მიდგომებს, კომერციულ მოსაზრებებს და ურთიერთსაპასუხო წინადადებებს. კვლევის შედეგად შემდეგი დასკვნები იქნა მიღებული:

- **პოლიტიკა ორივეგან უპირატესია სარგებელთან შედარებით, მაგრამ განსხვავებულად კონფლიქტის ქართულსა და აფხაზურ მხარეს**
  როგორც ქართული, ასევე აფხაზური ბიზნესიც საკუთარი მხარის პოლიტიკურ პოზიციას, აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით, საბოლოოდ მიიჩნევს. ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებები უპირატესია ეკონომიკურთან შედარებით. ქართველი მეწარმეები აფხაზეთთან კანონიერი ვაჭრობის სარგებელს განიხილავენ, როგორც რეინტეგრაციის საკითხის დაჩქარებისა და აფხაზი ხალხის რეფორმირებულ საქართველოში შემობრუნების საშუალებას. აფხაზი მეწარმეები, კი თავის მხრივ, ამ ვაჭრობის სარგებელს უფრო ბიზნეს შესაძლებლობების თვალსაზრისით განიხილავენ და მეზობელ სახელმწიფოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენის საშუალებად მოიაზრებენ.

- **კონფლიქტისადმი „ნულოვანი ნაშთის“ მიდგომა აფერხებს არაშაბლონურ აზროვნებას**
  ბიზნესმენები, ჩვეულებრივ, „ნულოვანი ნაშთის“ პრინციპით ხელმძღვანელობენ. ძალიან ცოტა ქართული კომპანია თუ მოიძებნება, რომელიც არაშაბლონურად განიხილავს აფხაზურ ბიზნესთან დაკანონებული ურთიერთობით მიღებული პოტენციური ეკონომიკური

სარგებლის საკითხს, სანამ აფხაზეთის სტატუსი დავის საგნად რჩება. აფხაზურმა კომპანიებმა წარმოსახვის მეტი უნარი გამოავლინეს, თუმცაღა, ქართულ კომპანიებთან საურთიერთოდ ამოსავალი წერტილი, მათთვის, თანაბარი სტატუსის საკითხია.

- **მეორე მხარესთან ბიზნესურთიერთობის კანონიერება და ლეგიტიმურობა გადამწყვეტია**
  არცერთი მხარე არ გამორიცხავს კონფლიქტის გამყოფი ხაზის გავლით ბიზნესურთიერთობის ხელმშემწყობი განსაკუთრებული კანონმდებლობის შემოღების შესაძლებლობას. კანონიერება გადამწყვეტია ქართველებისთვის; აფხაზებისთვის ბიზნესურთიერთობის მორალური ასპექტია პირველხარისხოვანი.

- **თითოეული მხარის კერძო ბიზნესი სხვადასხვაგვარად განიცდის კონფლიქტის შედეგებს**
  ქართველი მეწარმეებისთვის კონფლიქტი არ წარმოადგენს მთავარ საკითხს, აფხაზი ბიზნესმენები კი, არაღიარებას მიიჩნევენ ძირითად დაბრკოლებად, რაც მოასწავებს იმას, რომ სწორად აფხაზურ მხარესაა გადაუდებლობის მეტი შეგრძნება საერთაშორისო ფინანსურ და საბანკო შესაძლებლობებზე წვდომის მოპოვებისა და ახალი ბაზრებისა და მომწოდებლების მოძებნისათვის.

- **„ენგურის კარიბჭის“ მიღმაც არსებობს საქმიანი ალტერნატივები, რაც მნიშვნელოვანია**
  სანამ საწინააღმდეგო მხარესთან საქმიანი ურთიერთობის სხვა ალტერნატივები მდგრადია, ხოლო საინვესტიციო და ინოვაციური რესურსი კი მწირი რჩება, ნაკლებად სავარაუდოა, რომ კომპანიები ახალი, სარისკო შესაძლებლობების ძიებას მოკიდებენ ხელს.

- **კანონიერი ბიზნესისათვის „ენგურის კარიბჭის“ გახსნა გაცილებით ხელსაყრელი იქნება ბიზნესის ზოგიერთი დარგისათვის, ვიდრე სხვებისთვის**
  „ენგურის კარიბჭის“ გახსნა სარგებელს მოუტანს ორივე მხარეს მოქმედ სატრანსპორტო და ლოგისტიკურ კომპანიებს, გარკვეული სერვისების მიმწოდებლებსა და ექსპორტიორებს, ხოლო აფხაზეთის მხარეს - იმპორტიორებს, საცალო ვაჭრობის ობიექტებსა და იმ ბიზნეს კომპანიებს, რომლებიც საჭიროებენ თანამედროვე აღჭურვილობასა და ტექნოლოგიებს. აფხაზური კომპანიები დაინტერესებულნი არიან ენგურს გაღმა გზებისა და ბაზრების გახსნით, ქართული კომპანიებისთვის კი, აფხაზეთი დანაშაულებრივი ბიზნესკულტურის მატარებელი უმნიშვნელო ბაზარია და უფრო მისი ტრანზიტული შესაძლებლობით არიან დაინტერესებული.

- **მნიშვნელოვანია ზომა და ადგილმდებარეობა**
  კონფლიქტის ხაზის ახლოს მოქმედი მცირე კომპანიები ყველაზე მეტად მიესალმებიან მომხმარებელთა ბაზის გაფართოებისა და ნედლეულის ნაკლებ ფასად შეძენის შესაძლებლობას.

- **რისკისა და სარგებლის შეფარდების გამოთვლები განსხვავდება მხარეებს შორის, ხოლო შუამავლების გამოყენება გარდაუვალია**
  აფხაზური კომპანიები საქართველოს საქმიან გარემოს უსაფრთხოდ აფასებენ, თუმცა აფხაზი მეწარმეებისათვის, შესაძლოა, არ იყოს კომფორტული ქართველ კოლეგებთან პირადი კონტაქტის დამყარება. ქართული კომპანიებისთვის კი, დანაშაული აფხაზეთის ბიზნესგარემოს ძირითადი მახასიათებელია. აქედან გამომდინარე, ორივე მხარის კომპანიებს ურჩევნიათ, შუამავლების მოშველიებით დაიჭირონ საქმე საპირისპირო მხარესთან.

1. შესავალი

გახანგრძლივებულ კონფლიქტებს ახასიათებს ერთი მხრივ, სამშვიდობო პროცესის უსიცოცხლობა, მეორე მხრივ კი, ორივე მხარეს უსაფრთხოებისადმი უშუალო მუქარის არარსებობის პირობებში, არსებული სტატუს-ქვოს მიღება. განსაკუთრებულ გამოწვევას, ასეთ შემთხვევაში, წარმოადგენს მხარეების სტატუს-ქვოს ისეთი შეცვლისაკენ წაბიძგება, რაც მათ არსებულ მდგომარეობას, შეიძლება, არც გააძლიერებდა, მაგრამ არც შეასუსტებდა. მეტიც, შესაძლებელი ხდება კონფლიქტთან დაკავშირებული ისეთი საკითხების გამარტივება და რიგ შემთხვევებში გადაწყვეტაც კი, როგორიცაა: ეკონომიკური განვითარება, იზოლაცია, სასაზღვრო მოსახლეობისა და უმცირესობათა ყოფითი პირობები, გარემოსდაცვითი პრობლემები, გადაადგილების თავისუფლება და ა.შ.

კონფლიქტის პირობებში არსებული ეკონომიკა პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორების წნეხში ექცევა, ხოლო ბიზნესგათვლები ნაკლებად წონიანი ხდება, რაც განაპირობებს უსაფუძვლო, წინდაუხედავი და ირაციონალური ბიზნესგადაწყვეტილებების მიღებას. პოლიტიკური შემაკავებლების ეკონომიკური მამოძრავებლებისაგან გამოყოფა, კონფლიქტის გარდაქმნის თუმცაღა ძნელი, მაგრამ ნაცადი სტრატეგიაა, იძლევა რა ურთიერთობისა და ურთიერთნდობის განმტკიცებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებას, ისევე როგორც ხელს უწყობს ბიზნეს საქმიანობის წახალისებასა და შემოსავლების ზრდას[1]. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური ურთიერთობის გამოცოცხლებასა და პოლიტიკურ დათმობებს შორის დამაკავშირებელი რგოლი თვალსაჩინო არ არის, ერთი მეორეს შეიძლება არც მოყვებოდეს უშუალოდ, მათ შორის კი მიზეზშედეგობრივი კავშირი შეიძლება არც იყოს. მაგალითისთვის, მიუხედავად ჩინეთსა და ტაივანს შორის აქტიური ეკონომიკური მიმოცვლისა, ტაივანელი სპეციალისტებისა და ბიზნესმენების ჩინეთში გრძელვადიანი კონტრაქტებით მუშაობისა და ორმხრივი ინვესტირებისა, პოლიტიკურად, ტაივანი დამოუკიდებულ კურსს ინარჩუნებს[2]. თურქი კიპრიოტები, მსგავსად ბერძენი კიპრიოტებისა, კვლავაც ვერ მორიგებულან გაერთიანების პირობებზე და პოლიტიკური და უსაფრთხოების მოსაზრებანი კვლავაც ყოფს კუნძულს, მიუხედავად იმისა, რომ სასაქონლო და მომსახურებით ვაჭრობა თავისუფლად და კანონიერად მიმდინარეობს[3].

იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები ვერ თანხმდებიან კონკრეტული ტერიტორიისა თუ ხალხთა სტატუსზე, რაც განვითარებასა და ზრდას ანელებს და სადაც კონფლიქტის მხარეთა ურთიერთობა დაძაბულია ან საერთოდ არ არსებობს, ასეთ ვითარებაში ბიზნესურთიერთობის წამოწყება არსებული რეალობის ცვლილებას უყრის საფუძველს. ადვილდება ადამიანებს შორის კონტაქტი, კონფლიქტის მხარეები აღმოაჩენენ ერთმანეთის ჰუმანურ თვისებებს, იქმნება საკომუნიკაციო არხები, რაც ყველაზე საკამათო საკითხზეც კი, წარმატებული დიალოგის ალბათობას ზრდის. ბიზნესურთიერთობის წამოწყება არჩევანის საგანია და მსგავსი გადაწყვეტილება, ჩვეულებრივ, რისკებისა და სარგებლის შეფარდების გამოთვლას ეფუძნება.

International Alert-მა გზა გაუკვალა ანალიტიკურ მიდგომას კონფლიქტის ხაზის გადამკვეთი უკანონო ეკონომიკის შესწავლის საქმეში, რაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ჭრილში განხორციელდა, შეისწავლა რა ტრანს-ენგურის ვაჭრობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები[4], რაც

1 ნ. მირიმანოვა (ed.), სადავო საზღვრების გავლით მიმდინარე ვაჭრობის რეგულირება: ჩინეთი-ტაივანის, სერბეთი-კოსოვოსა და კვიპროსის მაგალითები, London: International Alert, 2015, http://www.international-alert.org/publications/regulation-trade-across-contested-borders-ge

2 N. Smith, Taiwan is suffering from a massive brain drain and the main beneficiary is China, TIME, 21 August 2017, http://time.com/4906162/taiwan-brain-drain-youth-china-jobs-economy

3 J. Galvanek and H. Giessmann, Everyday resistance to conflict resolution measures and opportunities for systemic conflict transformation, in J. Burges, O. Richmond and R. Samaddar (eds.), Cultures of governance and peace: A comparison of EU and Indian theoretical and policy approaches, Manchester: Manchester University Press, 2016, pp. 159–160, http://www.manchesteruniversitypress.co.uk/9780719099557

4 The Ingur/i river is a natural divide between Georgia and Abkhazia.

მიზნად ისახავდა თანამშრომლობისათვის პრაგმატული და ნებაყოფლობითი მამოძრავებლების გამოვლენას. ამ კვლევამ აჩვენა, რომ უკანონო ურთიერთქმედება ბიზნესებს შორის, ენგურზე გამავალი გამყოფი ხაზის გადაკვეთით, წმინდა წყლის საბაზრო ფენომენია, რადგანაც ვაჭრობა არ შეწყვეტილა კონფლიქტის სხვადასხვა ფაზაზე და ისეთი ეკონომიკური ფაქტორები, როგორიცაა ფასების გრადიენტი და მოთხოვნა-მიწოდების სტრუქტურა, უფრო მეტად მოქმედებენ ვაჭრობაზე, ვიდრე პოლიტიკური თუ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ფაქტორები. მეორე მხრივ, საკმარისადაა იმის მტკიცებულებებიც, რომ კონფლიქტის გადამკვეთი საქმიანი ურთიერთობები, იქნება ეს უბრალო ადამიანებს შორის არსებული და არალეგალური თუ დანაშაულებრივი და სარფიანი ბიზნესსაქმიანობაა, არ იწვევს საზოგადოებებსა და სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს შორის ურთიერთობის გრძელვადიან გარდაქმნას - საუკეთესო შემთხვევაში ნარჩუნდება არსებული მდგომარეობა[5]. მეტიც, როგორც კი ჩრდილოვანი ბიზნესი იშლება, ურთიერთობები ისევ მტრული ხდება[6]. სწორედ ამ ორი, გამოცდილებით გამაგრებული მტკიცებულებიდან გამომდინარე: რომ ტრანს-ენგურის ვაჭრობა ეკონომიკურად გამართლებულია და რომ მისი უკანონო ბუნება არ აძლევს მას საშუალებას, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს კონფლიქტის გარდაქმნაში - შეიქმნა სამგანზომილებიანი ფორმატი „კურსი 1.5“, რომელიც წარმოადგენს სასაუბრო პლატფორმას და აერთიანებს ქართველ და აფხაზ დაინტერესებულ მხარეებს, რომლებიც მოქმედებენ საკუთარი ცოდნის, საკვლევი სფეროსა და პოლიტიკის ადვოკატირების ფარგლებში. ამ ფორმატის შექმნა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ისეთი დროებითი სამართლებრივი რეჟიმის ჩამოყალიბებას ერთობლივი ძალისხმევით, რაც დაარეგულირებს და მეტად გამჭვირვალეს გახდის კონფლიქტის გამყოფის ხაზის გავლით მიმდინარე ეკონომიკურ საქმიანობას.

კერძო ბიზნესკომპანიები წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს დაინტერესებულ მხარეებს „ენგურის კარიბჭის“ კანონიერი ბიზნესისთვის გახსნის საკითხში. წინამდებარე კვლევამ გამოავლინა ქართული და აფხაზური კომპანიების მიდგომების, კომერციული მოსაზრებებისა და ორმხრივი შეთავაზებების სრული სპექტრი, რაც გამოითქვა, კონფლიქტის ამჟამინდელი გამყოფი ხაზის გავლით, კანონიერი ბიზნესის ამოქმედებასთან დაკავშირებით.

5 N. Mirimanova, Between pragmatism and idealism: businesses coping with conflict in the South Caucasus, in J. Banfield, C. Gündüz, N. Killick (eds.), Local business, local peace: The peacebuilding potential of the domestic private sector, London: International Alert, 2006, http://www.international-alert.org/publications/local-business-local-peace; U. Joras, Companies in peace processes: a Guatemalan case study, Bielefeld: Transcript-Verlag, 2007; S. Abboud, Disrupting conflict economies, Beirut: Carnegie Middle East Center, 2015, http://carnegie-mec.org/2015/05/19/disrupting-conflict-economies-pub-60224

6 ქართულ-სამხრეთ-ოსურ გამყოფზე განლაგებული ერგნეთის საბითუმო ბაზრობის თაობაზე იხილეთ T. de Waal, The Caucasus: An introduction, Oxford: Oxford University Press, 2010, pp.199–202

2. კვლევის საერთო საფუძველი და მეთოდოლოგია

კვლევის მიზნებს წარმოადგენდა შემდეგი:

- იმ სექტორების გამოვლენა, რომლებიც სარგებელს ელიან „ენგურის კარიბჭის“ კანონიერი ბიზნესისთვის გახსნის შედეგად.
- რენტაბელურობის ანალიზის ჩატარება ორივე მხარის კომპანიების აღქმებზე დაყრდნობით (ხარისხობრივი შეფასება) და ჰიპოთეტური სამართლებრივი რეჟიმისგან მომდინარე „მშვიდობის დივიდენდის“[7] სამომავლო მიკრო და მაკროეკონომიკური შეფასებისთვის (თვისებრივი შეფასება, მოდელირება) საფუძვლის ჩაყრა.
- ბიზნეს და პოლიტიკური მოსაზრებების შეფარდებითი წონის შეფასება, როგორც კონფლიქტის საზღვრის გავლით ეკონომიკური საქმიანობის შეფასების ნაწილისა.
- კომპანიების მიერ პროგნოზირებული გამოწვევების შეფასება, რომლებიც სამართლებრივი რეჟიმის აღსრულებით იქნებოდა გამოწვეული და ასევე, სამართლებრივი რეჟიმის ფარგლებში გასათვალისწინებელი ბიზნესოპერაციების სპეციფიკური ასპექტების განსაზღვრა, რომელთა გარეშეც სამართლებრივი რეჟიმი ადგილობრივი საჭიროების შეუსაბამო იქნება და ეკონომიკურ საქმიანობას ვერ გაამარტივებს.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გამყოფი ხაზის ორივე მხარეს, სხვადასხვა ზომისა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის 24 ქართული და 14 აფხაზური კომპანიის მფლობელსა და მენეჯერთან შედგა ჩაღრმავებული და სტრუქტურირებული ინტერვიუ, 2017 წლის ნოემბერ-დეკემბერში. წარმოდგენილი დარგები მოიცავდა სოფლის მეურნეობას, ტურიზმს, ტრანსპორტს, ლოგისტიკასა და საცალო ვაჭრობას; კერძოდ კი, წარმოდგენილი იყო ავტომობილებით ვაჭრობა, განათლება, ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურება, საფონდო ბირჟაზე ვაჭრობა, საბუღალტრო მომსახურება, სამშენებლო სფერო და სხვადასხვა მომსახურება (სამკერვალო, საქორწინო სალონები, კოსმეტიკური ქირურგია). ტრანს-ენგურის სამართლებრივად რეგულირებული ბიზნეს გარემოს რენტაბელურობის მიმართ არსებული დამოკიდებულების შესასწავლად გამოყენებულ იქნა ხარისხობრივი მეთოდოლოგია. ამ ჰიპოთეტური შესაძლებლობის შეფასების პროცესში, ასევე გამოვლინდა ბიზნეს სექტორებსა და გეოგრაფიასთან დაკავშირებული ტენდენციები.

7 A. Rettberg, Exploring the peace dividend: Perceptions of armed conflict impacts on the Colombian private sectors, London: International Alert, 2007, http://www.international-alert.org/publications/exploring-peace-dividend-perceptions-armed-conflict-impacts-colombian-private-sectors

3. ძირითადი მიგნებები

3.1 პოლიტიკური მოსაზრებანი

პოლიტიკური იმპერატივი შეზღუდვებს უწესებს ბიზნესშესაძლებლობებს და აფერხებს არაშაბლონურ აზროვნებას

უპირველეს ყოვლისა, წარმოდგენა სიტუაციისა, როდესაც მხარეთა შორის აფხაზეთის სტატუსის თაობაზე შეუთანხმებლობის პირობებშიც კი, მაინც შესაძლებელი გახდებოდა ენგურის გაღმა კანონიერი ბიზნესურთიერთობის დამყარება, ყველა გამოკითხულისათვის რთული ამოცანა გამოდგა, განსაკუთრებით კი ქართული კომპანიებისთვის, რომელთაც გაუჭირდათ კანონიერი საქმიანი ურთიერთობის დამყარების წარმოდგენა უკანონო ერთეულთან. პოლიტიკური ხედვები და ერთი შეხედვით, გადაულახავი სამართლებრივი დაბრკოლებები, ამას დამატებული აფხაზეთის, ნებისმიერი განსხვავებული სტატუსით აღქმის შეუძლებლობა გარდა ოკუპირებული ტერიტორიისა, ხელს უშლიდა ქართველ ბიზნესმენებს ეფიქრათ „ჩარჩოს გარეთ“. არცერთი ქართული კომპანია არ იცნობდა რეგულირებული ეკონომიკური ურთიერთობების შემთხვევებს, კონფლიქტის მხარეთა შორის სამშვიდობო ხელშეკრულების არარსებობის პირობებში (კვიპროსი, ტაივან-ჩინეთი და კოსოვო-სერბეთი), გარდა ერთისა, რომელიც ტაივანური ფირმის ფილიალი გამოდგა.

გამოკითხული აფხაზური კომპანიები ასევე არ იცნობდნენ ასეთ შემთხვევებს, თუმცა ნაკლებად გაუჭირდათ ქართულ კომპანიებთან საქმიანი ურთიერთობის წარმოდგენა, ნაწილობრივ იმიტომ, რომ, მათი თვალსაზიერიდან, პოლიტიკური სტატუსის საკითხი უკვე გადაწყვეტილია - ისინი გამუდმებით ახსენებდნენ საკუთარ ქვეყანას და საქართველოსთან ნორმალური სამეზობლო ურთიერთობის ჩამოყალიბების აუცილებლობას. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური და ემოციური ფონი კვლავაც არახელსაყრელია ქართველებთან საქმის დასაჭერად, აფხაზური კომპანიები ხედავენ „ენგურის კარიბჭის“ გახსნისგან მომდინარე ეკონომიკურ სარგებელს. გარდა ამისა, ენგურზე გამავალი უკანონო ვაჭრობა და სხვა ბიზნესურთიერთობა ქართველ პარტნიორებთან ცნობილი ფაქტია აფხაზეთში, ქართველ მეწარმეთა უმრავლესობას კი, გამყოფის სიახლოვეს მცხოვრებთა გარდა, ამ ვაჭრობის შესახებ არ სმენია.

ამოსავალი წერტილი: სტატუსის დადასტურება თუ ურთიერთობის აგება

გამოკითხულ მეწარმეთა როგორც აფხაზი, ისე ქართველი ნაწილისთვის, საკუთარი მხარის პოზიცია აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით საბოლოოა და მოლაპარაკების საგანი ვერ იქნება. ყველა გამომდინარე მოსაზრება ეკონომიკური საქმიანობის შუალედური გამარტივების საკითხზე, კონფლიქტის გამყოფის გავლით, ამ ქვაკუთხედს ეფუძნება. არცერთი მხარის არცერთი კომპანია არ განიხილავდა ეკონომიკური საქმიანობის წამოწყებას კონფლიქტის გამყოფი ხაზის გაღმა, თუკი, ამისთვის, პირველ რიგში, არ ექნებოდა საკუთარი ხელისუფლების ნებართვა, გარდა რამოდენიმე გაბედულისა, რომლებიც ისედაც ჩართულნი არიან უკანონო ვაჭრობაში და მეორე მხარესთან საქმის დაჭერის სრულ მოწინააღმდეგეთა ასევე მცირერიცხოვანი ჯგუფისა. ხელისუფლებისაგან მიღებული მკაფიო ნებართვის პირობებში, ენგურზე გამავალი საქმიანი ურთიერთობისადმი დამოკიდებულება მერყეობდა არ შეწინააღმდეგებიდან - აქტიურ მხარდაჭერამდე.

საქართველოში დეკრიმინალიზაციისა და ბიზნესებს შორის კავშირების გამარტივების მომხრეთა შორის ის კომპანიებია, რომლებიც გეოგრაფიულად ახლოსაა ენგურთან და აფხაზი კლიენტები ყავს. თუმცაღა, ის ქართველი მეწარმეებიც კი, ვინც „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის (რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ნებისმიერი ხასიათის კომერციულ საქმიანობას კრძალავს, მათ შორის ქართულ-აფხაზურ ურთიერთქმედებასაც) შერბილებას უჭერს მხარს, კანონის მიერ აფხაზეთში კომერციულ საქმიანობასა და საქართველოს ფარგლებს გარეთ აფხაზური კომპანიების საქმიანობის მიმართ დაწესებულ შეზღუდვებს მაინც ემხრობიან.

ამ ბიზნესშესაძლებლობის ქართული კომპანიებისეული შეფასება უფრო კონსერვატიული იყო, რომელთაც პრიორიტეტულად მიიჩნიეს სრული კანონიერება და უსაფრთხოება, ნაცვლად მოგებისა და ხალხთა შორის ურთიერთობისა.

ის კომპანიებიც კი, რომელთაც გამოხატეს მზადყოფნა ჩართულიყვნენ საქმიან ურთიერთობაში მეორე მხარესთან, მაინც ნაკლებად იყვნენ განწყობილი, თავდაპირველად მაინც, უშუალოდ დაეჭირათ საქმე კერძო პირებსა თუ ფირმებთან, აცხადებდნენ რა, რომ ამისთვის შუამავლებს მოიშველიებდნენ.

ქართველი და აფხაზი ბიზნესმენები პოლიტიკური შეთანხმების მიუღწევლობის პირობებში ეკონომიკურ გახსნილობას სხვადასხვაგვარად აფასებენ

ქართველი მეწარმეებისთვის გამყოფის გავლით კანონიერი ბიზნესურთიერთობის სარგებელი, უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთის, როგორც ერთეულის რეინტეგრაციას გულისხმობს და ასევე, აფხაზი ბიზნესმენების პოლიტიკურად რეფორმირებულ და ეკონომიკურად განვითარებულ საქართველოშიმიღებისსაშუალებაა-იმსაქართველოში,რომელიცაფხაზთაუმრავლესობისათვის შესაძლოა უცნობი ქვეყანაა. ხელახალი პოლიტიკური გაერთიანების პერსპექტივა წაახალისებს ზოგიერთ კომპანიას მოწყვეტილ აფხაზეთთან უფრო ახლო ეკონომიკური და ადამიანური კავშირები გააბას. იგივე პერსპექტივა ნებისმიერ დაახლოებას არიდებინებს თავს სხვებს, ვიდრე კონფლიქტი გადაუწყვეტელი რჩება - რაც, მათთვის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას გულისხმობს.

აფხაზი მეწარმეები გამყოფზე გამავალი კანონიერი ბიზნესურთიერთობის დამყარებით მიღებულ შესაძლო სარგებელს განიხილავენ კომერციული უპირატესობის თვალსაზრისით, ისევე, როგორც უსაფრთხო მეზობლური თანაცხოვრების აღდგენის საშუალებას.

გადაუწყვეტელი კონფლიქტი სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენს თითოეული მხარის ბიზნესსფეროზე

ქართველი მეწარმეებისთვის კონფლიქტი არ წარმოადგენს მათი ბიზნესისათვის დაბრკოლებას, სანაცვლოდ, საკანონმდებლო და ფინანსური ხასიათის დაბრკოლებებს ასახელებენ. აფხაზი მეწარმეები არაღიარებას ბიზნესის განვითარებისათვის მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად ხედავენ. საქართველოს მიერ გატარებული მკაცრი პოლიტიკის შედეგებს შორის დასახელდა იზოლაცია და ინვესტიციების, საბანკო მომსახურებისა და გარე ბაზრებზე წვდომისათვის უაღრესად შეზღუდული შესაძლებლობები, რაც ასევე აფხაზური ბიზნესის განვითარების ძირითად შემაფერხებელ ფაქტორებად მოიაზრება.

აფხაზეთში ფეხმოკიდებული რუსეთი, გამოკითხულ ქართველთა აზრით, როგორც ადგილობრივი ბიზნესისათვის შესაძლებლობების შექმნის თვალსაზრისით, ასევე აფხაზეთის

მმართველ ორგანოებზე გავლენის გამო, საქართველოსთან ნებისმიერი სახის შერიგებას უთხრის ძირს. სწორად ამას ასახელებენ ქართველი მეწარმეები აფხაზურ-ქართული ბიზნესების ურთიერთთანამშრომლობის ძირითად შემაფერხებელ გარემოებად.

აფხაზი და ქართველი მეწარმეების გრძნობები, მეორე მხარესთან ურთიერთობასთან დაკავშირებით, განსხვავდება

ემოციური შფოთვა და საზოგადოებრივი წნეხი აფხაზი მეწარმეებისთვის ძირითადი შემაკავებელი ფაქტორებია. ზოგიერთს მიაჩნია, რომ კონფლიქტის ხაზის გადამკვეთმა საქმიანმა ურთიერთობამ შეიძლება შეარბილოს მტრული განწყობა და პრაგმატული და ურთიერთმომგებიანი მიმოცვლისაკენ შემოაბრუნოს საზოგადოება. თუმცაღა, ასე რომ მოხდეს, უპირველესად, კონფლიქტის ხაზის გადაკვეთით საქმიანი ურთიერთობა საზოგადოებისა და ხელისუფლების მიერ უნდა იყოს ნებადართული.

ჩვეულებრივი ქართული კომპანიისთვის, აფხაზურ კომპანიებთან საქმის დაჭერა თუ თვით აფხაზეთში საქმიანობა, არსობრივად, პატრიოტიზმს ებმის და ამ თვალსაზრისით, კანონის ნებისმიერი დარღვევა ეროვნული ინტერესების ღალატსა და ქვეყნის სუვერენიტეტის შელახვას უტოლდება. ქართველი მეწარმეები, ერთხმად უერთდებიან სახელმწიფოს სამართლებრივ და პოლიტიკურ პოზიციას აფხაზეთის არაღიარებისა და დეოკუპაციის თაობაზე. არსებულ სამართლებრივ ვითარებაში, აფხაზურ კომპანიებთან საქმის დაჭერა თუ თავად აფხაზეთში საქმიანობის წამოწყება, შესაბამისად, უტოლდება ეროვნული ინტერესებისათვის ძირის გამოთხრას, თუმცაღა, ეს არ გამორიცხავს საქართველოს ნორმატიულ სივრცეში სპეციალური წესებისა და ნორმების მიღების შესაძლებლობას, კერძო აფხაზურ ბიზნესთან ურთიერთობისათვის.

კანონიერება მთავარი იმპერატივია, რითიც აიხსნება ის, თუ რატომ იჭერენ ქართული კომპანიები საქმეს რუსულ კომპანიებთან და რატომ ექცევიან რუს ინვესტორებს საქართველოში ყველა სხვა წარმომავლობის ინვესტორის მსგავსად, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ოკუპანტი ქვეყანაა და დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის შეწყვეტილია. რუსულ კომპანიებთან ურთიერთობა მომგებიანიცაა და კანონიერიც, და პირიქით, აფხაზურ კომპანიებთან საქმის დაჭერა უკანონოცაა და სარგებელიც, შესაძლოა, სათანადოდ მიმზიდველი არ იყოს და არც მყისიერად მიიღებოდეს.

შესაბამისად, ქართული კომპანიებისთვის, საპირისპირო მხარესთან საურთიერთოდ კანონიერებისა და ლეგიტიმურობის განმსაზღვრელი პოლიტიკური და ადმინისტრაციული ფაქტორებია. ამავდროულად, აფხაზური კომპანიებისთვის, სოციალური და ეთიკური ხასიათის ფაქტორები უფრო მნიშვნელოვანია.

3.2 კომერციული ხასიათის მოსაზრებანი

პოლიტიკის მიღმა, ტრანს-ენგურის ბიზნესურთიერთობისათვის ეკონომიკური საფუძვლები ორივე მხარეს არსებობს, თუმცაღა, კერძო კომპანიების „ტრანს-ენგურის კარიბჭის“ გახსნით დაინტერესება განსხვავებულ მიზეზებს ეფუძნება.

ზოგისთვის ეს მოგების გაზრდის შესაძლებლობაა, სხვები მოგების ზრდას შეუძლებლად მიიჩნევენ. კიდევ ერთი ჯგუფი, არასასურველი კონკურენციის თავიდან ასარიდებლად, „ტრანს-ენგურის კარიბჭის“ გახსნას ეწინააღმდეგება. ორი ფაქტორი განსაზღვრავდა „ტრანს-ენგურის კარიბჭის“ პოტენციურად სარგებლიანად შეფასებას: *ახალი ბიზნესშესაძლებლობები* (ახალი

ბაზრები, ინოვაციების პერსპექტივა, ახალი მიმწოდებლები) და ახალ ბიზნესშესაძლებლობების მოძიებასთან დაკავშირებული *საფრთხეები* (ბიზნესგარემოს ხარისხი).

„ენგურის კარიბჭის“ გახსნით დაინტერესების ხარისხი სხვადასხვაა დარგების მიხედვით

ორივე მხარეს ტრანსპორტისა და *ლოგისტიკის სფეროში მომუშავე* კომპანიებს, ასევე იმათაც, ვისაც გაფართოება ესაჭიროება ამჟამად მიუწვდომელი ბაზრებისა და მიმწოდებლების მოსაპოვებლად, აქვთ მკაფიო ეკონომიკური სტიმული „ენგურის კარიბჭის“ გასახსნელად. შესაძლებელია რუსეთიდან მომავალი ტვირთის სახმელეთო გადაზიდვა ქართულ ნავსადგურებში, ნოვოროსიისკის რუსულ პორტში ხშირი დაყოვნების ასარიდებლად. აფხაზეთის კანონიერ სატრანზიტო ტერიტორიად გარდაქმნა აშკარად სასარგებლოა ქართული სატრანსპორტო და ლოგისტიკური კომპანიებისათვის. თურქეთიდან აფხაზეთისკენ და პირიქით მიმავალი ტვირთი, აგრეთვე, შეიძლება ბათუმისა და სარფის გავლით მოძრაობდეს.

საკუთარი *თხილის* მოსავლის ქართველი კოლეგებისთვის მიყიდვა სარფიანი გახდა აფხაზი ფერმერებისათვის მას მერე, რაც ქართული თხილი ევროკავშირის მდგრად და მაღალი შემსყიდველობითი უნარის მქონე 500 მილიონ მომხმარებლიან ბაზარზე დაუშვეს[8].

საცალო ვაჭრობის დარგში წარმოდგენილი, ავტომობილების სათადარიგო ნაწილებით, ყვავილებით და სოფლის მეურნეობის ნაწარმით მოვაჭრე აფხაზური და ქართული კომპანიები, სადაც ქართველ მიმწოდებლებს აშკარად გამოხატული უპირატესობა აქვთ, დაინტერესებულნი არიან ორმხრივად სარგებლიანი ბიზნესკავშირების დამყარებით. საცალო ვაჭრობის ქართული კომპანიები არიან კონკურენტუნარიანი მიმწოდებლები აფხაზურ ბაზარზე, რადგანაც სთავაზობენ ხარისხისა და ფასის უკეთეს შეფარდებას რუსეთისა და თურქეთის შეთავაზებებთან შედარებითაც კი, რაც გამოწვეულია ძვირადღირებული და არარეგულარული გადაზიდვებით.

პომიდორისა და კიტრის ახალი ბიზნესი აფხაზეთში ადგილობრივ მომხმარებელსა და „აფხაზურ რივიერაზე“ მდებარე მაღალხარისხიან სასტუმროებს ამარაგებს, ისევე, როგორც რუსული სუპერმარკეტების ქსელებს. აფხაზეთში პირდაპირ თურქეთიდან თუ საქართველოს გავლით ენგურიდან შეაქვთ უფრო იაფი და დაბალხარისხიანი თურქული პომიდორიც, რომელსაც ასევე გააჩნია საკუთარი ბაზარი. ვინაიდან პომიდორის ბაზარი დივერსიფიკაციის ადრეულ ეტაპზეა, ახალბედა ფერმერებს ადარდებთ ქართული პომიდორის შეუზღუდავი შემოდინების საზიანო შედეგი და მიიჩნევენ, რომ შეიძლება საჭირო გახდეს დროებითი პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება. მაგრამ, მათივე აზრით, გრძელვადიან პერსპექტივაში ბაზარი გაწონასწორდება. ამავე დროს, რადგანაც თავად აფხაზეთი არ აწარმოებს სათანადო რაოდენობის *სოფლის მეურნეობის* პროდუქციას, როგორიცაა ყველი და რძის სხვა ნაწარმი, ხილი, ასევე ბოსტნეული, მაგ: კარტოფილი, მოთხოვნა ქართულ ნაწარმზე მაღალი რჩება და პიკს ზაფხულში აღწევს, როდესაც მილიონზე მეტი რუსი ტურისტი სტუმრობს აფხაზეთს.

მათ შორის, ვინც მხარს უჭერს კანონიერ ბიზნესურთიერთობას ენგურის გავლით, მომსახურების სფეროს კომპანიებია, რომელთაც ხელმისაწვდომი ახალი ტექნოლოგიები, პროფესიული გადამზადება და აღჭურვილობა ესაჭიროებათ ბიზნესის ინოვაციურად გასავითარებლად. *პლასტიკური ქირურგიის კლინიკები, სილამაზის სალონები, სამკერვალო სალონები, საქორწინო ბუტიკები, სამშენებლო კომპანიები* და *მეყვავილეები* რამოდენიმე იმ დარგთაგანია,

8 2014 წლის ივნისში, საქართველომ ასოცირების შეთანხმებას მოაწერა ხელი, რომლის ფარგლებშიც დაიდო „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება“ (DCFTA) ევროკავშირსა და „თავისუფალი ვაჭრობის ევროპული გაერთიანების“ (EFTA) ქვეყნებთან (შვეიცარია, ნორვეგია, ისლანდია და ლიხტენშტეინი). http://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/countries/georgia

რომელთაც გამოხატეს დაინტერესება ქართველ პარტნიორებთან დასაკავშირებლად - ახალი უნარების შესასწავლად და ახალი ტექნოლოგიებისა და მარაგების მისაღებად.

მომსახურების მიმწოდებლებს საქართველოდან (განათლება და პროფესიული სწავლება, საფონდო ბირჟაზე ვაჭრობა, ბუღალტერია და აუდიტი) შეეძლებოდათ მარტივად და მინიმალური დანახარჯებით შეეძინათ ახალი კლიენტურა წარმომადგენლობის გახსნისა თუ გამყოფის ფიზიკურად გადაკვეთის გარეშეც კი, დისტანციური კურსებისა და ვირტუალური ვაჭრობის მოწყობითა და დროდადრო, ცალკეული პირების მივლენით ლექციების წასაკითხად და სასწავლო კურსების გასაძღოლად.

ორივე მხარეს არსებობს ისეთი კომპანიებიც, რომელთა აზრითაც გამყოფის გახსნა მათი ბიზნესისთვის სიკეთის მომტანი ვერ იქნება. ქართული კომპანიებისთვის აფხაზეთი უმნიშვნელო ბაზარია, მასში არსებული საქმიანი გარემო კი დანაშაულებრივად მიიჩნევა. საფრთხეები, შესაბამისად, გადაწონის პოტენციურ სარგებელს. საინტერესო იყო იმ კომპანიის მიდგომა, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ რუსულ ბაზარზე გააქვს სოფლის-მეურნეობის ნაწარმი ზემო (ვერხნი) ლარსის სასაზღვრო-საკონტროლო პუნქტის, ერთადერთი სახმელეთო დამაკავშირებელი წერტილის, გავლით; ამ კომპანიას არ გამოუხატავს დაინტერესება აფხაზეთის ტერიტორიის გავლით ჰიპოთეტური ტრანზიტის შესწავლის მიმართ და სანაცვლოდ, არსებული საგზაო ქსელის გაუმჯობესება დაასახელა, მაგალითად, მეტი გვირაბის მშენებლობის გზით. ასეთი პასუხი იმის მაჩვენებელია, რომ ბიზნეს საქმიანობის წარმართვისათვის, არჩევანი უფრო რთული, მაგრამ ნაცნობი პირობების სასარგებლოდ კეთდება უფრო მარტივი, მაგრამ შეუსწავლელი პირობების ნაცვლად.

ის აფხაზური კომპანიები, რომელთაც დომინანტური მდგომარეობა უჭირავთ, მესამე ქვეყნებიდან რუსეთის გავლით ტვირთის გადამზიდავ კომპანიებთან ექსკლუზიური ურთიერთობის ხარჯზე, აფხაზეთში ქართული კომპანიების შემოშვებას ეწინააღმდეგებიან, უფრთხიან რა იმავე პროდუქტის (საერთაშორისო ბრენდები) ალტერნატიული მიწოდებისა თუ ქართული წარმოშობის უფრო კონკურენტუნარიანი ნაწარმის გამოჩენას ბაზარზე. აფხაზეთის ბაზარი მცირეა, მაგრამ საქონლითა და მომსახურებით გაჯერებული არ არის, ამიტომაც, უფრო იაფი საქონლის მიწოდება საქართველოდან დაანგრევდა ჩამოყალიბებულ მონოპოლიებს და დაწევდა ფასებს. აფხაზური კომპანიების მანევრირების უნარი კი, ისევე როგორც ფასების დაწევის, ახალი ბიზნესმიმართულებების გახსნისა თუ საკუთარი ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობა, უაღრესად შეზღუდულია საბანკო სესხების სიძვირის, საერთაშორისო ბაზრებზე ლიმიტირებული წვდომისა და ინვესტიციების ნაკლებობის გამო.

კონკურენცია, რომელიც მოყვება „ენგურის კარიბჭის“ გახსნას, პოტენციურად დამანგრევლად მიაჩნიათ იმ კომპანიებს, რომლებსაც უკვე უკავიათ საკუთარი ნიშები აფხაზეთის ტურისტულ დარგში და მომსახურების ფასითა და ხარისხით კმაყოფილი რუსი კლიენტების გარკვეულ კატეგორიას ემსახურებიან. ასეთი კომპანიები შიშობენ, რომ ქსელური სასტუმროები და უკეთესი ხარისხის მომსახურება მათ ბაზრიდან გააძევებს.

მნიშვნელოვანია კონფლიქტის ხაზთან სიახლოვე და კომპანიის ზომა

ის ქართული კომპანიები, რომლებიც კონფლიქტის გამყოფი ხაზის მეზობლად მოქმედებენ და უკვე ყავთ აფხაზი კლიენტები, აფხაზეთში კანონიერი გაფართოების მიმართ დიდ დაინტერესებას გამოხატავენ, სურთ რა უკეთ გაუმკლავდნენ მძაფრ შინაურ კონკურენციას. ენგურის გამყოფთან ახლოს მოქმედი კომპანიები საკუთარი თავისთვისაც ხედავენ ბიზნესშესაძლებლობებს და აფხაზეთის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობისათვისაც. ენგურის გამყოფთან ახლომდებარე

აფხაზური კომპანიებიც უფრო მეტად არიან განწყობილები ქართველ კოლეგებთან საქმის დასაჭერად.

დაბალი ბრუნვის მცირე კომპანიები, გამყოფის ორივე მხრიდან, რომელთაც უჭირთ კონკურენტებთან გამკლავება, იმ პირობებში როდესაც სესხები მიუწვდომელია, ხოლო მათი კლიენტურის მიერ საქონლის შემსყიდველობითი უნარი საკმაოდ დაბალია, ხელსაყრელად მიიჩნევენ კლიენტურის გაფართოებისა და უფრო იაფი მარაგების მიღების შესაძლებლობას.

მნიშვნელოვანია „ენგურის კარიბჭის“ გავლით საქმიანი ურთიერთობების ალტერნატივა

არცერთ მხარეს არ გამოუხატავს სასოწარკვეთილი სურვილი ტრანს-ენგურის საქმიან ურთიერთობებში ჩასართავად, რადგანაც ორივეს სიცოცხლისუნარიანი ბიზნეს-ალტერნატივები აქვს.

საქართველო მთელს მსოფლიოსთან მოვაჭრე ღია ეკონომიკის ქვეყანაა. იგი მე-16 ადგილზეა მსოფლიო ბანკის 2016 წლის „ბიზნესის წარმოების სიმარტივის“ (Ease of Doing Business) ინდექსში, მე-13-ზე 2017 წლის „ეკონომიკური თავისუფლების“ ინდექსში (Economic Freedom Index) და 59-ე მსოფლიოს 128 ეკონომიკას შორის „გლობალური კონკურენტუნარიანობის“ ანგარიშის (Global Competitiveness Report) თანახმად[9]. ყოველივე ეს იმპორტიორებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის (საქონლის 90% საქართველოში ნულოვანი საბაჟო მოსაკრებლით შემოდის). საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები აქვს დადებული სავაჭრო პარტნიორების უმრავლესობასთან, მათ შორის ევროკავშირსა და თავისუფალი ვაჭრობის ევროპული გაერთიანების (EFTA) ქვეყნებთან, თურქეთთან, სომხეთთან და უკანასკნელ ხანს, ჩინეთთანაც[10]. საქართველოში კერძო ბიზნესის მომგებიანობის ზრდის ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორებია: ხელმიუწვდომელი საბანკო სესხები, კონკურენცია ზოგიერთ დარგში უცხოურ ბიზნესკომპანიებთან, რომლებიც ადგილობრივ ფირმებთან შედარებით, შეღავათიანი პირობებით სარგებლობენ და ასევე, პროფესიონალური კადრების ნაკლებობა, განსაკუთრებით ტექნოლოგიების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საინჟინრო სფეროებში.

აფხაზეთის იზოლაცია შერბილდა რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის გაფორმებული რიგი შეთანხმებების[11] ძალაში შესვლის შედეგად. რუსეთმა აღიარა აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ 2008 წლის აგვისტოში, რამაც სამართლებრივი საფუძველი შეუქმნა აფხაზურ კომპანიებს რუსულ კომპანიებთან კონტრაქტების საფუძველზე დაემყარებინათ ურთიერთობა, მათ შორის, ზოგიერთი მსოფლიო ბრენდის დისტრიბუტორთანაც და აგრეთვე, გაუქმდა საბაჟო მოსაკრებლები[12].

რუსეთთან და რუსეთის გავლით ვაჭრობისა და სხვა ბიზნესის წარმოების გაუმჯობესებულმა შესაძლებლობამ მნიშვნელოვად გააფართოვა აფხაზური კომპანიების ჰორიზონტი, გაუჩინა მათ სამომავლო შესაძლებლობების შეგრძნება. საქმიანი ურთიერთობა რუსეთსა და აფხაზეთს შორის არ შეცვლილა მყისიერად და 2008 წელს რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის

9 World Bank Group, Doing business 2017: Equal opportunity for all, Washington DC: World Bank Group, 2017, http://www.doingbusiness.org/reports/global-reports/doing-business-2017; T. Miller, A. Kim, 2017 Index of economic freedom, Washington DC: The Heritage Foundation, 2016, https://www.heritage.org/international-economies/report/2017-index-economic-freedom-trade-and-prosperity-risk; K. Schwab (ed.), The global competitiveness report 2016–2017, Geneva: World Economic Forum, 2016, https://www.weforum.org/reports/the-global-competitiveness-report-2016-2017-1

10 Georgia, China sign historic free trade agreement, Agenda.ge, новостной сайт Agenda.ge, 13 мая 2017 г., http://agenda.ge/news/79386/eng

11 Stronger strategic partnership with Russia crucial for Abkhazia-Khadjimba, Interfax, 20 декабря 2017 г., http://www.interfax.com/newsinf.asp?y=2009&m=12&d=9&pg=4&id=799336

12 გარკვეული საქონლისთვის მოვალეობები შენარჩუნებულია, https://docs.wixstatic.com/ugd/789eb6_b5844c3d8d284032b5c50a1b742a4328.pdf

აღიარებისთანავე. „ფსოუს კარიბჭის“ (რუსეთთან ფსოუს სასაზღვრო-გადამკვეთი პუნქტი) გავლით მიმდინარე ბიზნესურთიერთობის შემაფერხებელი სხვადასხვა დაბრკოლება არ გამქრალა 2013 წლამდე. 2009 წელს აფხაზეთში მიევლინენ რუსი საბაჟო ოფიცრები, რომლებიც, მობილური საინსპექციო ჯგუფების სახით, აფხაზეთის საბაჟო სამსახურის საქმიანობას აკვირდებოდნენ. ისინი 2013 წელს გაბრუნდნენ, მას შემდეგ, რაც პროფესიული ურთიერთობა გაუმჯობესდა და ორი საბაჟო ორგანოს ურთიერთნდობამ სათანადო დონეს მიაღწია. გარდა ამისა, რუსეთის დახმარებით, აფხაზურმა საბაჟომ მოახერხა საკუთარი საქმიანობის მოდერნიზება, როგორც ტექნოლოგიური, ასევე, პროფესიონალური დისციპლინის კუთხით. კორუფცია, რომელიც აბრკოლებდა ფსოუს საზღვარზე საქონლისა და მარაგების გადამტან აფხაზურ კომპანიებს, შემცირდა საბაჟო მოსაკრებლების გაუქმების შემდეგ, რაც შედეგი იყო იმისა, რომ ამოვარდა პროცედურა, რომლის ძალითაც გადამხდელი მხარე უშუალოდ უკავშირდებოდა ამკრეფ მხარეს[13]. აფხაზეთის მიმართულებით მიმავალი ტვირთის თანხმლები დოკუმენტბრუნვა ნოვოროსიისკის პორტში მნიშვნელოვნად აჩქარდა მას შემდეგ, რაც რუსეთის საბაჟომ ბროკერების განსაკუთრებული გუნდი გამოყო აფხაზეთისთვის განკუთვნილი ტვირთების დასამუშავებლად.

მესამე ქვეყნებიდან საქონლის შემოტანა, მათ შორის ზოგიერთი საერთაშორისო ბრენდის დისტრიბუცია, აფხაზეთში რუსული კომპანიებისა და საერთაშორისო ბრენდების რუსეთში რეგისტრირებული ფილიალების მეშვეობით გახდა შესაძლებელი. აფხაზეთისთვის განკუთვნილი ტვირთი ჩადის ნოვოროსიისკის საზღვაო ნავსადგურში, საბოლოო დანიშნულების წერტილად „რუსეთი, სოხუმი“ ან „რუსეთი, აფხაზეთია“ მითითებული, შემდგომ კი მისი აფხაზეთში ტრანზიტი ხდება. ეს პრაქტიკა შეესაბამება რუსეთის კანონმდებლობას და არღვევს ქართულს. ერთობლივი რუსულ-აფხაზური კომპანიები კიდევ უფრო ნაკლებ წინააღმდეგობას აწყდებიან აფხაზეთის ფარგლებს გარეთ საპარტნიორო ურთიერთობაში.

რუსი ტურისტების აფხაზეთში გადასვლის ორგანიზების გაუმჯობესებას მოყვა აფხაზური სასტუმროებისა და ტურისტული კომპანიებისთვის კლიენტების გაზრდილი ნაკადი.

თუმცაღა, მიუხედავად თვალსაჩინო წინსვლისა, აფხაზურ კომპანიებს არ მიაჩნიათ მდგომარეობა რუსეთის საზღვარზე სრულად დამაკმაყოფილებლად და საბაჟო სამსახურების თავნებობასა და კორუფციას იტყობინებიან. გარდა ამისა, მაღალი ბაჟი, რომლითაც რუსეთი ბეგრავს იმპორტს, ბერავს საქონლისა და მარაგების საბოლოო ფასებს, იმ პროდუქციაზე, რასაც აფხაზური კომპანიები ყიდულობენ რუსეთში და ფსოუს გავლით შემოაქვთ. „ენგურის კარიბჭის“ გახსნა ალტერნატივას შეუქმნის „ფსოუს კარიბჭეს“ და უზრუნველყოფს აფხაზურ კომპანიებს მესამე ქვეყნებთან სავაჭროდ დამატებითი სავაჭრო მარშრუტებითა და იაფი მიწოდებით.

თურქეთიდან მომავალი ტვირთის დაგვიანება კვლავაც დიდ პრობლემად რჩება აფხაზური კომპანიებისთვის. ვინაიდან აფხაზურ ნავსადგურებში პირდაპირი შესვლა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით იკრძალება, რეისები არარეგულარულია და ჩამოსვლის თარიღების პროგნოზირება ძნელია, რაც საცალო მოვაჭრეებისა და ადგილობრივი საკურიერო სამსახურებისთვის დიდ სირთულეებს ქმნის.

აფხაზეთში ბიზნესის, განსაკუთრებით ისეთის, რომელიც საცალო ვაჭრობის მასშტაბებს ცდება, განვითარების ძირითად შემაფერხებელ ფაქტორებად დასახელდა ხელმისაწვდომი ახალი ტექნოლოგიებისა და ექსპერტიზის ნაკლებობა, სესხებსა და სხვა ფინანსურ რესურსებზე ხელმიუწვდომლობა და მარაგებისა და მომსახურების სრული წინასწარი გადახდით შეძენის აუცილებლობა.

13 В соответствии с положениями соглашения об освобождении от всех таможенных пошлин, налогов и связанных с этим сборов, подписанного между Россией и Республикой Абхазия. Торгово-промышленная палата Республики Абхазия: Treaty between the Russian Federation and the Republic of Abkhazia on trade regime, 2015, последнее посещение – 8 февраля 2018 г., http://www.tppra.org/en/documents/treaty-between-russian-federation-and-republic-abkhazia-trade-regime

საერთო ჯამში, ენგურის გაღმა საქმიანობის ეკონომიკური სტიმულები აფხაზურ კომპანიებში უფრო ძლიერია, ვიდრე ქართულში. ქართული კომპანიების დაინტერესება, უკლებლივ, აბსტრაქტული და ზოგადი სიტყვებით გამოიხატება. მიზეზად შეიძლება დავასახელოთ აფხაზეთის, როგორც საქმიანობის ახალი სფეროს, გამოკვლევისადმი დაბალი ინტერესი და ის ფაქტიც, რომ უკვე აქვთ კანონიერი, უსაფრთხო და სარფიანი ალტერნატივების მთელი წყება. საპირისპიროდ, აფხაზი მეწარმეები, ზოგადად, უფრო უკეთ არიან ინფორმირებულები იმ შესაძლებლობების შესახებ, რაც შეიძლება წარმოიქმნას კონფლიქტის გამყოფის გადაკვეთით, თუკი სამართლებრივი რეჟიმი მართლაც შეიქმნა. ერთი მხრივ, დამოკიდებულება რუსეთზე, როგორც ბაზარზე, მარაგების წყაროზე, პოლიტიკურ მოკავშირესა და უსაფრთხოების გარანტზე და მეორე მხრივ კი საქართველოს მიერ არაღიარების პოლიტიკის განუხრელი გატარება ზღუდავს ახალი ცოდნის, ინოვაციებისა და ინვესტიციების შემოდინებას და ამით აფხაზური ბიზნესის განვითარებას აფერხებს.

რისკი, შეფარდებული სარგებელთან, ასიმეტრიულია ორივე მხარისათვის

აფხაზი მეწარმეები აღიქვამენ ქართულ ბიზნესგარემოს როგორც სტაბილურს, გამჭვირვალესა და დაბალი რისკის შემცველს. ზოგიერთნი, გამოკითხულ აფხაზ მეწარმეთა შორის, ჩართულნი ყოფილან საქმიან ურთიერთობაში ქართველ პარტნიორებთან ან ამჟამადაც ჩართულნი არიან ტრანს-ენგურის უკანონო ვაჭრობაში და მზად არიან გააგრძელონ ეს საქმიანობა უკვე კანონიერადაც. საპირისპიროდ, ქართველი მეწარმეები აფასებენ აფხაზურ ბიზნესგარემოს როგორც კრიმინალიზებულს, მერყევსა და მაღალი რისკის შემცველს. სატრანსპორტო კომპანიებს და მიმწოდებლებს საქართველოდან ადარდებთ გარანტიები, მათ შორის გამყოფს მიღმა დაზღვევის საკითხები და ასევე, პერსონალისა და ტვირთის ფიზიკური უსაფრთხოება.

ქართულ კომპანიებს მიაჩნიათ, რომ რუსული გავლენა აფხაზეთის ხელისუფლებაზე და რუსული სამხედრო ძალის ყოფნა აფხაზეთში მოწყვლადს ხდის ტრანს-ენგურის პოტენციურ ბიზნესკავშირებს. მათი მოსაზრებით, რუსეთის პოზიცია იქნება მნიშვნელოვანი, როგორც კონფლიქტის გამყოფი ხაზის გავლით მიმდინარე სავარაუდო საქმიანობის, ასევე ზოგადად კონფლიქტის ბედის გადაწყვეტაში, მაგრამ ამ პოზიციის პროგნოზირება ძნელია.

ძირითადი საკითხები, რომლებიც გავლენას მოახდენს ტრანს-ენგურის ბიზნესურთიერთობის მაგერულირებელი კანონმდებლობის მოდელზე

გამოკითხულმა კომპანიებმა ენგურზე გამავალი ბიზნესურთიერთობის დამარეგულირებელ და პოტენციურ სამართლებრივ რეჟიმში აუცილებლად შესატანი შემდეგი საკითხები დააყენეს:

- როგორ შეიძლება აფხაზური კომპანიის, როგორც კლიენტის, ჩართვა საქართველოს საგადასახადო სისტემაში და როგორ შეიძლება იმის დადასტურება, რომ გადარიცხული თანხა გაწეული მომსახურების საზღაურია?
- რომელმა ორგანომ უნდა გასცეს საქონლის წარმოშობის სერტიფიკატები და რა ადგილმდებარეობის მიხედვით მოხდება სახელდება („დამზადებულია აფხაზეთში“, „დამზადებულია საქართველოში“) თუ რამე სხვა?
- როგორ უნდა იქნას უზრუნველყოფილი ადამიანების, საქონლისა და კაპიტალის გადაადგილების თავისუფლება?

- თუკი წვდომა ასიმეტრიული იქნება (მაგ: პროტექციონიზმი ზოგიერთ დარგში), ვინ დაარეგულირებს ამას და როგორ?
- როგორ მოხდება ინვესტიციების უსაფრთხოების გარანტირება?
- როგორ დაიზღვევა საქონელი და ტვირთი?

4. დასკვნები

პოლიტიკა ორივეგან უპირატესია სარგებელთან შედარებით, მაგრამ განსხვავებულად კონფლიქტის ქართულსა და აფხაზურ მხარეს

თითოეული კომპანიისათვის საკუთარი მხარის პოლიტიკური პოზიცია საბოლოოა და მოლაპარაკებას არ ექვემდებარება. მცირერიცხოვანი გამონაკლისების გარდა, არცერთი მათგანი არ არის მზად, ჩაერთოს კონფლიქტის გამყოფ ხაზზე გამავალ ვაჭრობაში საკუთარი ხელისუფლებისაგან მიღებული ნებართვის გარეშე. ორივე შემთხვევაში, ყველაზე ფართოდ ის მოსაზრებაა გავრცელებული, რომ პოლიტიკა ეკონომიკასთან შედარებით უპირატესია და ბიზნესი პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს უნდა მიესადაგოს.

ქართველი მეწარმეები აფხაზეთთან კანონიერი ვაჭრობის სარგებელს განიხილავენ, როგორც რეინტეგრაციის საკითხის დაჩქარებისა და რეფორმირებულ საქართველოს წიაღში აფხაზი ხალხის დაბრუნების საშუალებას. აფხაზი მეწარმეები, მეორე მხრივ, ამ ვაჭრობის სარგებელს უფრო ბიზნესუპირატესობის თვალსაზრისით განიხილავენ და კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენის საშუალებად მოიაზრებენ.

კონფლიქტისადმი „ნულოვანი ნაშთის“ მიდგომა აფერხებს არაშაბლონურ აზროვნებას

მეწარმეებისთვის უცნობია ეკონომიკური ურთიერთობის დარეგულირების გზები, სადავო ტერიტორიის საკითხის პოლიტიკური გადაწყვეტილების არარსებობის პირობებში და შესაბამისად, ისინი „ნულოვანი ნაშთის“ მიდგომისკენ იხრებიან: მიმდინარე პოლიტიკური პოზიციიდან ნებისმიერი გადახრა დათმობის ტოლფასია.

ძალიან ცოტა ქართული კომპანია იყო დაინტერესებული ან შესწევდა უნარი არაშაბლონური მიდგომით ეფიქრა აფხაზურ ბიზნესთან საქმიანი ურთიერთობის დაკანონების შედეგად მიღებულ პოტენციურ ეკონომიკურ სარგებელზე, სანამ თვით აფხაზეთის სტატუსი სადავო საკითხად რჩება. მეორე მხრივ, აფხაზურმა კომპანიებმა წარმოსახვის მეტი უნარი გამოავლინეს, მათ შორის იმიტომაც, რომ გამოჩნდა თითქოს ისინი უფრო მეტად ადევნებენ თვალს ბიზნესგარემოს ცვლილებას და უკეთ იცნობენ საქართველოში არსებულ ბიზნესშესაძლებლობებს. მიუხედავად ამისა, მათთვის ქართულ კომპანიებთან საქმიანი ურთიერთობის ამოსავალი წერტილი თანაბარი სტატუსის საკითხია.

მეორე მხარესთან ბიზნესურთიერთობის კანონიერება და ლეგიტიმურობა გადამწყვეტია

არცერთი მხარე არ გამორიცხავს კონფლიქტის გამყოფი ხაზის გავლით ბიზნესურთიერთობის ხელშემწყობი განსაკუთრებული კანონმდებლობის შემოღების შესაძლებლობას. კანონიერება გადამწყვეტია ქართველებისთვის, აფხაზებისთვის კი გადამწყვეტია მორალური მზაობა ქართველებთან საქმის დასაჭერად. პოლიტიკური და ადმინისტრაციული ფაქტორები განაპირობებს ქართული კომპანიების პოზიციას, ხოლო აფხაზური კომპანიები, უფრო მეტად, სოციალური და ეთიკური ფაქტორების გათვალისწინებისკენ იხრებიან.

თითოეული მხარის კერძო ბიზნესი სხვადასხვაგვარად განიცდის კონფლიქტის შედეგებს

ქართველ მეწარმეებს არ მიაჩნიათ კონფლიქტი საკუთარი ბიზნესის შემაფერხებელ ფაქტორად, სანაცვლოდ კი სამართლებრივ და ფინანსურ დაბრკოლებებს ასახელებენ. აფხაზები, პირიქით, არაღიარებას საკუთარი საქმიანობისთვის მნიშვნელოვან ხელის შემშლელ ფაქტორად განიხილავენ, ინვესტიციების, საბანკო მომსახურებისა და გარე ბაზრებზე შეზღუდული წვდომის გამო. აქედან გამომდინარე, აფხაზურ მხარეს ახალი ბაზრებისა და მიმწოდებლების მოძიების აუცილებლობის შეგრძნება უფრო მძაფრია.

„ენგურის კარიბჭის“ მიღმაც არსებობს საქმიანი ალტერნატივები, რაც მნიშვნელოვანია

ალტერნატიულ ბაზრებზე, მიმწოდებლებსა და ინვესტიციების წყაროებზე წვდომა განაპირობებს კომპანიების მზაობას კონფლიქტის გამყოფი ხაზის გავლით ახალი და პოტენციურად სახიფათო ბიზნესურთიერთობის მოსაკვლევად. ინვესტიციების უსაფრთხოება, ხელმისაწვდომ სესხებზე წვდომა და სტაბილური შემოსავალი ფასობს, რადგანაც ორივე მხარის კომპანიებს მანევრირების შეზღუდული საშუალება აქვთ ახალი ბიზნესწამოწყებების შესაძლებლობების ძიების პროცესში. სანამ მეორე მხარესთან საქმის დაჭერის არსებული ალტერნატივები, სულ მცირე, მდგრადია, ინვესტიციებისა და ინოვაციების მოზიდვის რესურსი კი შეზღუდული, ნაკლებად სავარაუდოა, კომპანიებმა ახალ და სარისკო წამოწყებებს მოკიდონ ხელი. ზოგადად, ორივე მხარე, განსაკუთრებით კი აფხაზეთი, მოიკოჭლებს გრძელვადიანი დაგეგმარების კუთხით.

„ენგურის კარიბჭის“ გახსნა კანონიერი ბიზნესისათვის გაცილებით ხელსაყრელი იქნება ბიზნესის ზოგიერთი დარგისათვის, ვიდრე სხვებისთვის

ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის, საცალო ვაჭრობისა და მომსახურების დარგებში ჩართული კომპანიები მკაფიო ეკონომიკურ სტიმულს ხედავენ ბაზარზე წვდომის, ბაზარზე წვდომის უფრო მოკლე გზების, უფრო კონკურენტული ფასებისა და ტექნოლოგიებზე წვდომის თვალსაზრისით. მაგრამ მათ დარგში გაბატონებული სხვა კომპანიები ეწინააღმდეგებიან კონკურენციის გარდაუვალ ზრდას. საერთო ჯამში, აფხაზური კომპანიები მეტად არიან დაინტერესებული ენგურს გაღმა გზებისა და ბაზრების გახსნით, ქართული კომპანიებისთვის კი აფხაზეთი დანაშაულებრივი ბიზნეს კულტურის მატარებელი უმნიშვნელო ბაზარია და უფრო მისი ტრანზიტული შესაძლებლობით არიან დაინტერესებული.

მნიშვნელოვანია ზომა და ადგილმდებარეობა

ორივე მხარეს, კონფლიქტის ხაზის სიახლოვეს მოქმედი მცირე კომპანიები, რომელთაც უჭირთ ბაზარზე არსებულ კონკურენციასთან გამკლავება, მეტი ენთუზიაზმით ეკიდებიან საკუთარ მომხმარებელთა ბაზის გაფართოებისა და მარაგების უფრო იაფად შეძენის შესაძლებლობას. მათ აქვთ აშკარად გამოკვეთილი უპირატესობა საზღვრის გადასაკვეთად საჭირო მოკლე დისტანციისა და კონფლიქტის ზონის გადასწვრივ ნათესაური კავშირების ქონის თვალსაზრისით.

რისკისა და მოგების შეფარდების გამოთვლები განსხვავდება მხარეებს შორის, ხოლო შუამავლების გამოყენება გარდაუვალია

ენგურზე გამავალი საქმიანი ურთიერთობისადმი დამოკიდებულება არ შეწინააღმდეგებიდან - აქტიურ მხარდაჭერამდე მერყეობდა, იმ შემთხვევაში, თუ მკაფიო ნებართვა იქნებოდა მიღებული ხელისუფლებისაგან. ბიზნესაზროვნება და საფრთხეებისა და სარგებლის ურთიერთშეფარდება აღქმებითაა განპირობებული. აფხაზური კომპანიები საქართველოს საქმიან გარემოს მოწესრიგებულად და უსაფრთხოდ მიიჩნევენ, თუმცა ქართველებთან პირდაპირი საქმიანი გარიგებების დადების იდეას სიფრთხილით ეკიდებიან. ქართული კომპანიებისთვის კი, დანაშაული აფხაზეთის ბიზნესგარემოს ძირითადი მახასიათებელია. შესაბამისად, ორივე მხარის კერძო კომპანიებს ურჩევნიათ შუამავლების მოშველიებით დაიჭირონ საქმე საპირისპირო მხარესთან.

International Alert
346 Clapham Road, London, SW9 9AP, United Kingdom
Tel +44 (0)20 7627 6800 **Fax** +44 (0)20 7627 6900
info@international-alert.org
www.international-alert.org

Registered charity no. 327553
ISBN: 978-1-911080-80-0

/InternationalAlert **@intalert**